№ 118

კვირა, 6 ივნისი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 118

კვირა, 6 ივნისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227


დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 9 ივნისს.

გაზეთი „ივერია" პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ეღირება 6 მან. 50 კაპ.


ამა ივნისის 2-ს, ხანგრძლივის და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თავის სახლშივე, ქ. ოზურგეთში, ოზურგეთის მომრიგებელი შუამავალი სტატსკი სოვეტნიკი

## ალექსანდრე ტიმოთეს ძე ჯაყელი.

ასული მისი ელისაბედი დ ძმები ლევან და გრიგოლ ჯაყელნი, გულითადის მწუხარებით აცნობებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ, სთხოვენ მობრძანდნენ ქალაქ ოზურგეთში ცხედარის გამოსასვენებლად ამა ივნისის 8-ს, სამშაბათს, დილის 10 საათზედ. მიცვალებულის გვამს დაასაფლავებენ ქადიის წმ. გიორგის ეკკლესიაში.

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე დილის 10 საათზედ.

(3—80—3)

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

## საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.**

(30—78—4)


რადგანაც 29 მაისს დანიშნული

## საზოგადო კრება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი გადადებულ იქმნა 7 თიბათვისთვის. კრება მოხდება ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის სადგომში დილის 10 საათზედ. განსახილველია შემდეგი საქმეები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შესავალ-გასავლისა 1899 წლისათვის.

4, მოხსენება განსვენებულის ალ. როინაშვილის ნაანდერძევის შესახებ.

5, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6, არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა.

(5—უ.- 4)


დღეს, 6 მაისს,

ნემცების ბაღის საზაფხულო თეატრში

(მიხეილის ქუჩაზედ)

ქართულ თეატრის რეჟისორის თანაშემწის ა. ბაქრაძის თაოსნობით, წარმოდგენილი იქნება

## ავაზაკნი

ხუთმოქმედ. ტრაგედია ა. ფურცელაძისა.

ადგილების ფასი 20 კაპიკიდგან 1 მანეთამდე.

ბილეთების ყიდვა შეიძლება თვით ბაღში წარმოდგენის დაწყებამდე.

დასაწყისი საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** $1-1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^{1}/_{4}-2^{1}/_{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი** $6^{1}/_{2}$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)


## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი 15 ივნისს ესსენტუკში წავა, ხოლო იქიდგან კისლოვოდსკში, სადაც აგვისტოს ნახევრამდე დაჰყოფს. ცოტას ხნით მთავარ-მართებელი ამ ზაფხულს კოჯორში დაბრუნდება. კოჯორშივე გადატანილ იქმნება 20 ივნისს მთავარ-მართებლის კანცელარია.

*** „კავკაზ"-ს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, რომ ქალაქის თვით მართველობაზედ საადმინისტრაციო კანტროლის დაწესების საქმე, ვიდრე საქალაქო დებულების ზოგიერთი მუხლები გადაისინჯება, განწესრიგებულ იქმნა დროებითის წესებით, რომელიც კავკასიის მთავარ-მართებელს ახალს, მეტად ფართო უფლებებს ანიჭებსო.

*** როგორც იმავე გაზეთს სწერენ იქიდგანვე, ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრთა თანამდებობიდგან ლათხოვნილის ივანენკოს და ვერმიშევის საჩივარი არ შეუწყნარებია სენატს.

*** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ნება-დართო მუქთად მიეცეს სახაზინო ტყეებიდგან 512 კუბიკი საჟენი წნელი და 1,230 საჟ. მარგილი მდ. ორვილის გასამაგრებლად თიანეთის მაზრის სოფ. ახმეტაში.

*** თავ. ა. ბ. გოლიცინს შეუწირავს მოსკოვის უმთავრესის არხივისათვის მეფე ვახტანგის დროშა და ფარი, რისთვისაც ხელმწიფე იმპერატორისაგან მადლობა მიუღია.

*** დღეს ნემცების ბაღის საზაფხულო თეატრში, მიხეილის ქუჩაზედ, ქართულ თეატრის რეჟისორის თანაშემწე ალ. ბაქრაძე გამართავს ქართულ წარმოდგენას. წარმოდგენილ იქმნება ა. ფურცელაძის ხუთ მოქმედებიანი ტრაგედია „ავაზაკნი". წარმოდგენა დაიწყება საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ.

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ხვალ, 7 ივნისს, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში მოხდება „ქართველთა შორის წერა-

## ფელეტონი

### გვაქვს თუ არა საზოგადოებრივი აზრი?

ჩვენს საზოგადოებას და ლიტერატურას ცოტად მაინც თუ ადევნებს კაცი თვალ-ყურს, ცხადად დარწმუნდება, რომ ორივე გზას გადასცდენია. არც ერთსა და არც მეორეს არ ეტყობათ, რომ კარგად ესმოდესთ თავისი მდგომარეობა და ამის გამო ისინი ნამეტანის იმედებით ან ნამეტანის უიმედობით არიან გარემოცულნი. ზომიერება მსჯელობისა, მოქმედებისა, ზომიერება ურთიერთობისა, რომელიც შედეგია მხოლოდ ჩვენის მდგომარეობის და მისთა ვითარებათა რიგიანის ცოდნისა, ერთნაირად აქვს დაკარგული როგორც საზოგადოებას, ისე თვით ლიტერატურასაც. აქ არც არის რამე საკვირველი, რადგან დიდია ზედ-მოქმედება, ურთი-ერთობა საზოგადოების და ლიტერატურას შორის, მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება. რომელსამე საერო საქმეს ან სრულიად არ ვაქცევთ ყურადღებას, უმნიშვნელოდ სტოვებს მას როგორც საზოგადოება ისე ხშირად თვით მწერლობაც, ზოგიერთ საქმეს კი ისეთის ამბით ეგებება პირველიცა და მეორეც, რომ აუცილებელი საქმეა უცხომ არ მიაქციოს ყურადღება. მკითხველი ადვილად მოიგონებს, თუ რა ალიაქოთი ასტეხა ჩვენმა მწერლობამ და მასთან ერთად საზოგადოებამაც იმის გამო, რომ ტფილისის საბჭოში ქართველობამ თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ამ რვა წლის წინედ. ისეთი ბაქიობა გაისმოდა საზოგადოებასა დ მწერლობაში ამის გამო, რომ უმნიშვნელოდ არ დარჩა ყოველივე ეს შემდეგის არჩევანების დროს. რომლესაც ჩვენ გამარჯვებას ასე ხმა მაღლა გავიძახოდით მის მაგიერ, რომ შეერთებულ უხმაურო მოქმედებით ხანგრძლივად დაგვრჩენოდა ეს გამარჯვება, მეტად გამწვავებული ხასიათი მივეცით ჩვენ და სომხებს შუა უთანხმოებას. მართლაც მარტო ბაქიობა და ჩვეულებრივი სიტყვის რახა-რუხი რას გვიშველიდა. შემდეგში ძლიერ დავმარცხდით; სომხებმა, სხვა ქართველთა შორის, საუკეთესო და ყოველ ქალაქისათვის დიდად სანატრელი მოღვაწე ბ-ნ ნ. ნიკოლაძეც კი გამოსდევნეს საბჭოდგან. ბაქიობას მოჰყვა თან უკმაყოფილებაც. ამ ნაირი გადაჭარბება ჩვენში ხშირად ხდება:

ყოველივე ეს მოგვდის იმიტომ, რომ კარგად არ გვესმის ჩვენი მდგომარეობა, არ გვაქვს საყვარალი დიადი აზრი, რომელსაც უნდა ვემსახურებოდეთ ყველანი და რომლისათვისაც უნდა ვივიწყებდეთ პირადობას საზოგადო საქმის წარმატებისათვის. მიმქრალია ეს სახელმძღვანელო აზრი საზოგადოებაში და ძლივსღა იჩენს ის თავს ჯერ-ჯერობით ჩვენს მწერლობაში. ეს რომ ასე არ იყოს, რათ აღუმართავთ ზოგიერთებს, რომლებიც კარგად არიან ცნობილნი ჩვენს მწერლობაში, დროშა თვისის ინტერესების მომეტებულ სამსახურისა, კულტი თავისის პირადობისა! ეს რომ არ იყოს, რისთვის ხდება მთელი საზოგადოება ყურ-მოჭრილ მონად იმისთანა კაცისა, რომელსაც არავითარი საზოგადო ინტერესი არა აქვს, მხოლოდ ლუკმა პურის და თვისის თავმოყვარეობის დაკმაყოფილების ინტერესი ამოძრავებს დ ამისათვის რომელისამე საზოგადო საქმის სათავეში სდგება: კარგად იცის, რომ ჩვენი საზოგადოება ადვილად გასაბრიყვებელია, რადგან მტკიცე რწმენას მოკლებულია.

სამაგიეროდ, ჩვენის საზოგადოების თავმოყვარეობა ავადმყოფია. ამ პათოლოგიურის ავადმყოფობით არის მოშხამული ჩვენი მწერლობაც. ლიტერატორისათვის ოდნავ საწყენის თქმა საკმარისია, რომ სამუდამოდ დაარღვიოთ მისი სულის მყუდროება. ამის შემდეგ იგი თქვენი მტერია ყველა საქმეში, სასარგებლოც რომ იყოს ეს საქმე საზოგადოებისათვის. ეს გარემოება არის მიზეზი, რომ ხშირად ასტყდება ხოლმე ჩვენთა ლიტერატორთა შორის ომი, რომელიც არავითარს ინტერესს არ წარმოადგენს მკითხველ საზოგადოებისათვის. საზოგადოებაა ხშირად დამნაშავე და მიზეზი მწერლობის ამგვარად გაკოტრებისა, გაწვრილმანებისა. მწერლობა და საზოგადოება ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან მტკიცედ, ერთს მეორეთი უდგია სული. თუ საზოგადოებაში, მაგალითად, რომელიმე სასარგებლო მისწრაფება აღიძვრის, რომელიც რომელისამე მოვლენის შეცვლის სურვილია, მწერლობა ასულდგმულებს ამ მისწრაფების განხორციელების აზრს; საზოგადოებაც პატივსა სცემს, სიყვარულით ექცევა ამ მწერალის შემოქმედებით გამოქანდაკებულს, ხორცით შემოსილს მისწრაფებას. მწერლობა ჰმხნეობს საზოგადოების ამგვარის სიყვარულით და თანაგრძნობით დ განაგრძობს თავისის უაღრესის დანიშნულების აღსრულებას. თუ საზოგადოებას არა აქვს საუკეთესო საყვარელი იდეა, არ იცის მან ცხოვრების ავ-კარგი, ვითარებანი თვისის საზოგადოებრივ სახის დაცვისა და სხვა არავგრად ეინტერესება ეს საგანი და ამოძრავებს მხოლოდ ერთი მოთხოვნილება—კუჭის დაკმაყოფილება; ეს გარემოება ჰრყვნის თვით მწერლობასაც. ამგვარი პირდაპირ მშობლიური კავშირი არსებობს ლიტერატურასა და საზოგადოების შორის და ერთის წარმატება ან სიწამხდრე მეორესაც ძლიერ ეტყობა ხოლმე. მწერლობა ჰქმნის საზოგადოებრივს აზრს, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი არის თვით საზოგადოების ორგანული მოთხოვნილება. ამ საზოგადოების ორგანულ მოთხოვნილებით ჰსარგებლობს მწერლობა და აძლევს ამ მოთხოვნილებას საუკეთესო სახესა და გამოხატულებას. საზოგადოებრივი აზრი კრიტიკულის თვალით ჰსინჯავს ამ გამოხატულებას და მისი სინამდვილისა და სარ-

კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება. ანგარიში საზოგადოების 1898 წლის მოქმედებისა „ივერიის“ ხელის მომწერლებს უკვე დაურიგდა.

*** წელს ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 24 მოწაფემ; მათ შორის 7 რუსია, 7 სომეხი და 10 ქართველი, სახელდობრ: მ. დევაძე, ლ. ჯოხაძე, ს. ჯილაური, ლ. ეჯოშვილი, ერ. კერესელიძე, ივ. მენთეთაშვილი, ალ. ნინუა, ალ. თოხაძე, იაზ. შარაბიძე და ეს. შიოლაშვილი.

*** წელს საფერშლო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 11 მა კაცმა, მათ შორის 5 ქართველია — ე. სვანი, ვ. ჩიჩუა, ნ. გულივერდაშვილი, ვ. ბარელაძე, ს. დარსაველიძე, — 2 — მაჰმადიანი, 3 — სომეხი და ერთი მონგოლი.

*** ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგის პროფესორი ნ. ვ. მარრი. როგორც თითონ პროფესორმა გადმოგვცა, მას აღმოუჩენია გოტურს ენაზედ დაწერილი „ცხოვრება წმ. ნინოსი“. ხელნაწერი ამ ჟამად კიდეც იბეჭდება თურმე პეტერბურგში.

*** ხვალ, 7 ივნისს, ტფილისში ჩამოვა ფრანგი ჟურნალისტი გოტტენკინი (Gottenkieny), რომელიც ფეხით მოგზაურობს დედამიწის გარშემო. გოტტენკინს უკვე გამოუვლია საფრანგეთი, ესპანია, მაროკო, ალჟირი, ტუნისი, ტრიპოლი, ეგვიპტე, არაბეთი, პალესტინა, სირია, მესოპოტამია, სპარსეთი და ერთი ნაწილი კავკასიისა.

*** ამას წინად კავკასიის მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ დაჯილდოვებულ იქმნენ ის გლეხები, რომელთა მიწებიც ამიერ-კავკასიის რკინის გზას მიეზომა. როგორც ეხლა „ახ. მიმ.“ იუწყება, მთავრობას შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა.

*** თელავის მაზრის სოფ. შაშიანსა და ურიათუბანში სეტყვას გაუფუჩებია 229 დესეტ. ვენახი და 320 დეს. ჰირნახული; გარდა ამისა წყალს წაუღეკნია 18 დეს. ნათესი. დაახლოვებით ზარალი უდრის 12,280 მან.

*** 4 ივნისს ქალაქის საბჭოს კრება არ შესდგა, რადგანაც კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა არ გამოცხადდა.

*** ქობულეთიდგან იუწყებიან, რომ იქ ზღვაში ბანაობა უკვე დაიწყეს. მოაგარაკეთა რიცხვი დღითიდღე მრავლდება, რასაც დიდად ხელს უწყობს აგარაკების გაიაფება.

*** რადგან წელს ყვავილი განსაკუთრებით ავლაბარში მძვინვარებდა, ამის გამო საგუბერნიო გამგეობას აზრად აქვს დააარსოს ავლაბარში ქალაქის ამცრელის თანამდებობა მცხოვრებთა უსასყიდლოდ ასაცრელად.

*** კანდიტერმა საკაიანცმა, რომლის საკანდიტეროში მომზადებულ ცივ-ტკბილით ამას წინად 15 კაცი მოიწამლა, განუცხადა პოლიციას, რომ ამ კაცების მოწამლვა იმ მუშის ბრალი იყო, რომელმაც ჩემს საკანდიტეროში ცივ-ტკბილი მოამზადაო.

*** გარდასახლების საქმეთა სამმართველოს გადაუდვია კავკასიის ადმინისტრაციის გარდასაცემად ოციათას ხუთასი მანეთი ამიერ-კავკასიაში გარდასახლების საქმის საჭიროებისათვის.

*** მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ შარშან ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მტკვრის ნაპირების დათვალიერება ტფილისში და იმის გამოკვლევა, თუ რამდენი ადგილი უნდა დარჩეს ამ ნაპირებზედ, სადაც სახლების აშენება აკრძალული იქმნება. კომისიას ჯერ-ჯერობით შეუჩერებია მუშაობა, ვიდრე ქალაქის მიწის მზომელი გეგმაზედ აღნიშნავს ყველა იმ შენობას, რომელიც მტკვრის ნაპირას არის აგებული.

*** პეტერბურგის საანტროპოლოგიო საზოგადოებას გამოუგზავნია ამიერ-კავკასიაში საანტროპოლოგიო მასალის, ადამიანის თავის ქალათა და ჩონჩხთა მოსაგროვებლად სამხედრო სამკურნალო აკადემიის სტუდენტი ივანოვი.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ა იუწყება, აზრადა აქვთ ტფილისის ცხენის რკინის გზა საწარმოებლად იმას გადასცენ, ვინც საუკეთესო პირობებს აღუთქვამს ქალაქს. ამ აზრით გამოიხმობენ სუყველა', ვისაცა ჰსურს ამ საქმეს ხელი მოჰკიდოს.

*** ს. ხოვლე, (ქართლი). 23 მაისს გვესტუმრა ხოვლელების ხშირი სტუმარი სეტყვა და საკმაოდ დაგვაზიანა. გვეგონა ამას გვაკმარებსო, მაგრა 1 თიბათვეს წამოუშინა ხშირმა და სხვილმა სეტყვამ და სულ ერთიან მირეგვ-მორეგვა აქაურობა.

*** ვინ არ იცის, რომ ტფილისის ქუჩები საზოგადოდ ცუდად არის მოკირწყლული (ნამეტნავად განაპირა ქუჩები), მაგრამ ახალ-არსენალის ქუჩის უსწორ-მასწორობა სწორედ მიუტევებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ქალაქის პატრონებს, ვინაიდგან ამ ქუჩაზედ უფრო დღე დიდი მოძრაობაა ეტლებისა. ისე დღე არ დაღამდება, რომ ასმა და ორასმა ურემმა, ფაეტონმა და დროგმა არ გაიარ-გამოიაროს ხოლმე ამ გზაზედ. მართალია, ერთი ნახევარი ამ ქუჩისა მოუკირწყლავთ, მაგრამ ამასთანა მოკირწყვლას სულ რომ თავი დაენებებინათ, ისა სჯობდა და აი რათა: იმ ადგილას (გიდენოვის ვიწრო ქუჩის გამოსავალში, თაყაიშვილის სახლების პირდაპირ), სადაც მოკირწყვლა შეუძზრებიათ, ქუჩა მაღლად ამაღლებულია, ხოლო მეორე პირი-კი მირს დაწეულა, ასე რომ, როდესაც ეტლი იქნება თუ ურემი, ავლაბრისაკენ მიდის, ისეთ ნაირად ჩაეხეთქება ხოლმე, რომ ლამის სულ მთლად დაიმტვრეს, მაგრამ უფრო დიდი უბედურება ავლაბრის მხრიდგან მომავალ შეურმეებს ემართებათ, საგორავისავით მოედება ხოლმე ურმის თვლებს ქუჩის მაღლობი — ჩამწკრივებული ქვები — და უკან ხარ-კამეჩსაც უშორდება ურმის ამოთრევა. ნეტა გენახათ, რა უღმერთოდ ურტყამენ ხოლმე საქონელს, რა ღრიანცელი და განგაშია ურმის ამოთრევის დროს, რომ ადვილად წარმოიდგინოთ როგორც ხარ-კამეჩის, ისე მეურმეების გაჭირვება. ხშირად მთელის საათობით სცემენ უდანაშაულო საქონელს, მთელის საათობით ილანძღებიან მეურმეები და ბრაზ-მორეული მდგმური ბი ხარ-კამეჩის სიცოცხლეობით იწვის... ხანდახან უბედურებაც მოხდება ხოლმე, მაგალითად: ამ სამი-ოთხის დღის წინად ერთს კამეჩს ფეხი მოსტყდა, მეორე ურემს უღელი გამოსტყდა და მთელი წირვის ხანი, თავსხმა ძანძახში გულ ხელ დაკრებილნი შეჭყურებდნენ საბრალო მეურმენი შუა-გზაში გაჩხედულ ურემს. მაგრამ რა გუშინ და გუშინ-წინ! თითქმის ყოველ დღე შეწუხებულნი ვართ ამ გვარის სურათების ხილვით. ნუ თუ მოვალე არ არის ქალაქის გამგეობა ყურადღება მიაქციოს ამ ქუჩას და თუ იმდენი გულშემატკივრობა არა აქვს, რომ არსენალის ასახვევამდის მოჰკირწყლოს ეს ქუჩა, იმდენი მაინც მოახერხოს, რომ მეორე პირი ალმაცერად მიწით ამოავსებინოს და მით გაჭირვებიდგან დაიხსნას როგორც მეურმენი, ისე უდანაშაულო საქონელი?!.

## ტფილისის ვაჭართა საყურადღებოდ.

დღეს, 6 ივნისს ტფილისში დანიშნულია ვაჭართა საზოგადო კრება, რომელმაც ვაჭართა გამგეობის მეთაური, მამასახლისი უნდა ამოირჩიოს. ამ ჟამად ამ მამასახლისად ვაჭარი იაგორ ავაქის ძე დავიდოვია. 4 ივნისს ტფილისის ვაჭართა შორის ხელიდან-ხელ საგოგმანებლად დადიოდა რუსულად დაბეჭდილი ხელ მოუწერელი ფურცელი, რომელიც, როგორც სჩანს, საარჩევანო აზრით არის გამოცემული. ამ ფურცელში ვაჭართა მამასახლისს დავიდოვს სხვა-და-სხვა ბრალი ედება. სხვათა შორის აქ ნათქვამია, რომ მამასახლისად ყოვლად უნაკლულო და პატივისცემის ღირსი კაცი უნდა იყოსო.

„მაგრამ დავიდოვი, ვაჭართა აწინდელი მამასახლისი ასეთი კაცი-კიაო! რამდენადაც ცნობილია, დიდი ხანია დავიდოვმა ვაჭრობას თავი დაანება, თუმცა თავად-აზნაურობის ქარვასლაში მაღაზია აქვს და ზედ აწერია, „მაუდის მაღაზია დავიდოვისაო“. ამ მაღაზიაში დავიდოვი მხოლოდ სარგებლით ფულს ასესხებს ვაჭრებს. კანონიერს სარგებელს იღებს, მეტს, თუ ნაკლებს, ეს მისი სინდისის საქმეა, მხოლოდ საყურადღებო ის არის, რომ ვაჭართა მამასახლისი ფულებს სარგებლით აძლევს და ისიც ცხადად-კი არა, არამედ მაუდის დუქანში, რომელშიაც, რასაკვირველია, დიდი, დიდი ხანია მაუდის ვაჭრობა მოსპობილია, როგორც ეს ბევრმა უწყის. ცნობილია ისიც, რომ ის ვაჭარი, რომელიც დავიდოვის ბადეში გაებმება, დაღუპულად უნდა იყოს ჩათვლილი, თუ ნასესხი ფული დროზედ არ გარდაიხადა. ამბობენ, ასეთს ვაჭრებს დავიდოვი არამც თუ არავითარს შეღავათს არ აძლევს, არამედ უკიდურესობამდე მიიყვანს ხოლმეო. უფრო ის არის საკვირველი, რომ დავიდოვი მაშინაც არ იძლევა შეღავათს, როდესაც სხვა მოვალენი მისს ხელში ჩავარდნილ ვაჭრისა სთხოვენ და ემუდარებიან: ჩვენ ვაცდით და შენც დააცადე, რომ არ გაკოტრდეს ვაჭარიო“.

„ის გარემოება, რომ დავიდოვი სარგებლით ფულს აძლევს, გამოარკვია გარდასახადთა ინსპექტორმა ბარაკოვსკიმ ამა წლის 24 მაისს დავიდოვისავე მაღაზიაში და უთხრა, რომ უეჭველად პირველი გილდის მოწმობა აიღე და არა მეორე გილდისაო, როგორც სჩადიოდა რამდენისამე წლის განმავლობაში დავიდოვი, ჰფარავდა-რა თავისს ხელობას „მაუდის მაღაზიის“ სახელით“.

6 ივნისს ვაჭართა კრება მოწოდებულია, ნათქვამია ფურცელში: საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარე და 5 წევრი, რომელთა შორის ხმა ეძლევა კენჭის უყრელად ვაჭართა მამასახლისსაცაო. ჩვენის სინიდისისა და სიმართლით ჯერ დავიდოვი უნდა გადავაყენოთ მისის თანამდებობიდგან, მამასახლისად სათანადო კაცი ავირჩიოთ და მერე შევუდგეთ სამზრუნველო საბჭოს წევრთა ამორჩევასაო.

ფურცელში დასახელებულია რამდენიმე სხვა ნაკლიც დავიდოვისა და დასასრულ ნათქვამია, რომ „დარწმუნებულნი ვართ, ვაჭართა შორის გამოჩნდებიან კეთილ-გონიერნი, რომელნიც მხარს დაუჭერენ ჩვენს წინადადებასო“.

---

გებლობის შესაფერისად სდებს ფასს. საზოგადოების ინტერესმა, თვით მისმა ორგანულმა მოთხოვნილებამ და მწერლობის უაღრესმა საგანმა და გაფაციცებულმა კვლევა-ძიებამ დაჰბადა საზოგადოებაში საზოგადოებრივი აზრი, რომელიც საუკეთესო სკოლაა საზოგადოების გონიერი ცხოვრებისა და თვით მწერლობის წარმატებისა.

ამ ბოლოს დროს ძლიერ იჩინა თავი საზოგადოებრივმა აზრმა ევროპის სახელმწიფოებში. ამგვარია საზოგადოების ლიტერატურის ურთიერთობა და ზედ-მოქმედება. ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში ჯერ ჩასახულიც არ არის საზოგადოებრივი აზრი და მისი დიდის მნიშვნელობის შეგნება, მისი პატივი და შიში და ეს არის მიზეზი, რომ ჩვენში პატარა კაცუნა-კი არა, ხშირად ცნობილი კაციც, ნამდვილის ზეციურ ნიჭითაც-კი აღბეჭდილი ჰლაღობს თვისისის პირადობის სამსახურით და პატივისცემით ზარბაზნებს ისვრის, რათა ბეღურანი ამოსწყდნენ, მაგრამ ხშირად ბეღურები უვნებელნი რჩებიან, წმინდა აზრი-კი, რომლის სახელითაც ისროდა მწერალი ზარბაზნეს, ხშირად მწერალის შეუფერებელის მოქმედებით შებღალული რჩება. საზოგადოება ტაშს უკრავს მწერალს, რითაც მწერლის საქციელი მოსაწონად აღინიშნება და მას კიდეც ეძლევა ნება იგივე არა სალიტერატურო საქციელ მრავალჯერ გაიმეოროს. სად არის აქ საზოგადოებრივი აზრი, რომელიც უნდა შეჰქმნას საზოგადოებამ და მწერლობამ ერთი მეორის ზედ-მოქმედებით, ერთი მეორეს სასარგებლოდ და სადღეგრძელოდ? არა, არ არის და კიდეც ამის გამო ხდება საზოგადოების აბუჩად აგდება ზოგიერთ მოღვაწეთაგან და ლიტერატორთაგან საზოგადოებისათვის წმინდა სამსახურის დავიწყება.

საზოგადოებრივ აზრის დიდი მნიშვნელობა იქ მეტი უნდა იყოს, სადაც ერი ცოტაა რიცხვით და პატარა ტერრიტორიაზედ მოთავსებული. ამ გარემოებას ბევრი კარგი თვისება აქვს, თუ ერი გამოიყენებს თვისდა სასარგებლოდ. უფრო გაადვილებულია ერთმანეთის გაცნობა, ერთმანეთთან დაახლოვება, რის გამოც ადვილია მტკიცე ერთობის შექმნა. თუ ერი აღჭურვილია კულტურის სიყვარულით, სარგებლობს კიდეც ამ გარემოებით. ხოლო თუ კულტურის სიყვარულს მოკლებულია, მოკლებულია საზოგადოებრივს ალღოს, მაშინ დაახლოვების სიადვილეს ცუდი შედეგიც მოსდევს. შურიანობა, მტრობა, საზოგადო ინტერესების გაუგებლობა უფრო ხოლმე იჩენს თავს და პირად ინტერესების სამსახური ძლიერ გაძლიერებულია. სწორედ ასეთს მდგომარეობაშია დღეს ქართველობა, რომელთა შორისაც ვერ იდგამს ფეხს ჯერ-ჯერობით ერთობა და საზოგადოებრივი გრძნობა (Socialli'). პირველ მდგომარეობის წარმომადგენელი ერი მრავალია და მათ შორის უფრო საგულისხმოა შვეცია, ნორვეგია, დანია. ამ ქვეყნებში სახიფათოა ახალგაზდა მწერალის, ან მოღვაწეს მდგომარეობა, თუ ჯერ საზოგადოებისათვის უცნობნი არიან და ახლად გამოდიან სამოღვაწეო ასპარეზზედ. მაგრამ ეს სახიფათო მდგომარეობა დიდად განირჩევა ჩვენის მოღვაწეების მდგომარებისაგან. იქ პირველში გულ-გრილად ეკიდებიან ახლად მოვლინებულს მოღვაწესა და მწერალს, თუნდაც დიდი ნიჭი და თავისებურობაც ეტყობოდეთ. ხალხის გულ-გრილობა აიძულებს ხშირად მწერალს მეტი ღონე და ძალა დახარჯოს, ძლიერ იშრომოს. ხშირად ხდება, რომ საზოგადოების გულ-გრილობის გამო ახალგაზდა მწერალნი საზღვარ-გარეთ გარბიან, ბევრი შრომის შემდეგ მწერლობის ასპარეზედ სახელს გაითქვამენ ხოლმე ევროპაში; შეჰქმნიან თვისს დიდებას (ლინნეი, იბსენი, ბრანდესი და სხვები), მერე ბრუნდებიან სამშობლოში და თანამოძმენი გულით და სულით ეგებებიან. საკვირველი და სასარგებლო საქციელია, რომელსაც არ უძევს სარჩულად შური და მტრობა ერთმანეთისა, თუმცა ძლიერ ახლო იცნობენ ერთმანეთს.

ჩვენში-კი სულ სხვებრ ტრიალებს საქმე. ხშირად დიდის ამბით ვეგებებით იმას, ვისაც არა გაუკეთებია-რა. მოვფენთ ხოლმე ქვეყნად ხმას, რომ გაგვიჩნდა ვარსკლავი, რომელიც გაგვინათებს დაბნელებულს გზას ჩვენის ცხოვრებისასაო. იმედით მთვრალნი შევცქერით, მაგრამ უფრო ხშირად გაცრუებულნი ვრჩებით. საზოგადოდ ზნედ გარდაგვექცევია არა თუ რომელისამე უბრალო ადამიანს გაბუმბერაზება, ახალის, უბრალო რამ დაწესებულების განდიდებაც-კი იმ დროს, როდესაც გაბუმბერაზებული ადამიანი სულ უბრალო სიკვდილის შვილია და გაზვიადებული დაწესებულება ინგრევა თვისის სუსტის საფუძვლითურთ. სამაგიეროდ, მწერალს, რომელსაც ბრძოლასა და კვლევა-ძიებაში გაუტარებია თვისი სიცოცხლე, რომელიც დარაჯად სდგომია საზოგადო ინტერესებს, შევიძულებთ ხოლმე იმის გამო, რომ მისი რომელიმე აზრი არ მოგვეწონება ან დაახლოვებით ვიცით მისი ცხოვრება, რომელსაც შეიძლება პატარა ლაქა რამ ეცხას. ვივიწყებთ, რომ მზეც არ არის აცილებული ლაქასა და ხინჯს. ეს ნიშნობრივი თვისება ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრებისა ცხადად ისახება ჩვენს ლიტერატურაშიაც. ერთის სიტყვით, რომ ვთქვათ, ერთმანეთის ფანატიკურ გაუტანლობით უფრო ვართ აღჭურვილნი, ვიდრე პატივის-ცემით და თავაზიანობით. ეს ჩვენის წარსულის შედეგია, მისი არა სასიქადულო ნაანდერძევია. ახალის თაობის ზნეობრივს მოვალეობას შეადგენს ხელის შემშლელი ნაანდერძეული თვისება ჩვენის წარსულისა მოსპოს მარტო სიტყვით-კი არა, არამედ საქმითაც.

ე. ვაშაკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადადებას და ნებას არ მისცემენ დაიდოვს ისეთ კეთილშობილ დაწესებულების წევრთა შორის ჩაირიცხოს, როგორიც არის სასწავლებლის კომიტეტიო“.

ვნახოთ, რა გამოვა რისაგან?!.

---

## ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

2 ივნისი.

კრების მდივანმა დ. ბ. მდივანმა წაიკითხა გუშინდელი ოქმი, რომელიც მცირედის ცვლილებით დაამტკიცა.

**თ. ნ. თავდგირიძე.** მე ვთხოვ ბ-ნ თავმჯდომარეს, ნება მისცეს ლაპარაკისა თ. დ. გ. წულუკიძეს (დამფასებელია), რომელზედაც გუშინ ჩიკვაიძე ჩიოდა, რომ არ მემორჩილებაო.

**ექ. ს. თაყაიშვილი.** გუშინ ბ-ნმა ნანეიშვილმა სთხოვა თ. ნ. ერისთავს დაებოწმებინა მისი განცხადება რომ გამგეობის თავმჯდომარე გულაცრუებულია ბანკის საქმეებზე და თავისს კერძო საქმეებს უფრო მეტ დროს ანდომებს, ვიდრე ბანკის საქმეებს, მაგრამ თ. ერისთავმა ამ თხოვნას გვერდი აუხვია და, როგორც ქართულად იტყვიან, სიტყვა ბანზე ააგდო. ჩვენთვის კი საინტერესო იყო, მცირეოდენი ნათელი მაინც მოეფინა ამ საგნისთვის. წარმომადგენელთა უმრავლესობისათვის საჭიროა დაგვიხატოთ საზოგადო სურათი ბანკის მდგომარეობისა და იქ მოქმედთა, ვიდრე ანგარიშის წვრილმან ციფირებისა და რიცხვებისა, საიდანაც ძნელია კაცმა რაიმე განსაზღვრული დასკვნა გამოიყვანოს.

**დ. თ. ლოლუა.** (წევრი ზედ. კომ.). ბატონებო, ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ. ზნეობის სიფაქიზის დაცვა ყოველგან და ყოველთვის უნდა იყოს. ჩვენ წინაპრებს, მართალია, უნივერსიტეტი არ გაუთავებიათ, მაგრამ ზნეობით ფაქიზნი იყვნენ. იქნება ახლა ზნეობას სხვა მოთხოვნილება აქვს, მე სიბერის გამო ჩამოვრჩი ამ მოთხოვნილებას; მაგრამ მე ეს ვერ გამიგია, ბ-ნი ნანეიშვილი რატომ ჩამჯდარა გამგეობის მოწინააღმდეგე დასში და თავისის უფროსის წინააღმდეგ ამხედრებულა. იგი უნდა იყოს გამგეობასთან და იცავდეს მისს ინტერესებს.

**ექ. ს. თაყაიშვილი.** მორჩილება ქვეშევრდომისა უფროსის წინაშე, რასაკვირველია, უნდა არსებობდეს, უამისოდ არავითარი დაწესებულება და საქმე რიგიან გზაზედ ვერ დადგება. დისციპლინა უეჭველად მოითხოვს ამას, მაგრამ არის დრო და ადგილი, სადაც უმცროსსაც ისეთი უფლება აქვს, როგორიც უფროსს, მაგალითად, აი ეხლა. და სწორედ იმ ზნეობის სიფაქიზის ძალით, რომელზედაც წეღან ასე მშვენივრად ლაპარაკობდა ბ-ნი ლოლუა, ნანეიშვილი ვალდებულია, როგორც კი შეუძლიან, ნათელი მოჰფინოს საკამათო საგანს და ამით თავისი წმინდა მოვალეობა შეასრულოს.

**ა. თ. ნანეიშვილი.** ბ-ნი ლოლუა ჩემის ზნეობის სიფაქიზეს იმიტომ შეეხო, რომ მე ის გუშინ ორს სიცრუეში დავიჭირე. (ხმაურობაა, პირადობას ნუ ეხებით).

**თავმჯდომარე.** ბ.ნებო, განვიხილოთ პირველი განსახილველი საგანი — განხილვა და დამტკიცება ბანკის მოქმედებათა 1893—1898 წ.; ამოწერა რევიზორის ანგარიშიდგან; დარჩენილი მამულები და კონვერსია.

**თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე.** გუშინ ლაპარაკობდნენ, რომ კონვერსია საზარალოაო, რადგან მისის მოხდენის დროს მსესხებლები ჰკარგავენ ას მანეთზე ორ მანეთსაო, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ ეს დაკარგვა დროებითია, დავკარგამდით მხოლოდ ერთხელ, ეხლა კი მსესხებლები ყოველ წელიწადს ჰკარგვენ უკონვერსიობისა გამო; გუშინ ისიც განაცხადეს, რომ უკონვერსიოთაც შეიძლება მსესხებლების გაჭირვებულს მდგომარეობას ეშველოსო, თუ გადაგირავებას მოვახდენთო. მაგრამ აქაც ისევ ავიწყდებათ ის გარემოება, რომ გადაგირავებისა და კონვერსიის შორის დიდი განსხვავებაა: გადაგირავება გამოიწვევს მსესხებლებისაგან დიდს ხარჯს, რაიცა საჭირო არ არის, თუ კონვერსია მოვახდინეთ. გამგეობას არ მოსწონს, როცა ქუთაისის ბანკს ადარებენ ტფილისისას, მაგრამ თვითონ გამგეობასაც ვერ აუქცევია ამ შედარებისთვის მხარი: ძალაუნებურად იგი თვითონაც ადარებს, როცა ამბობს: „ტფილისის ბანკს უფლებანი მეტი ჰქონდა, საქმეც მისი უმჯობესად წავიდაო“. მართალია, რომ ტფილისის ბანკს მეტი უფლება აქვს, ქუთაისისას ნაკლები, მაგრამ ეს ვისი ბრალი ია? რასაკვირველია, ბანკის მმართველებისა, რომელთაც არ იშუამდგომლეს სამინისტროს წინაშე და არ მოიპოვეს ეს უფლებანი. ისიცა სთქვეს, ვითომც ოპოზიციის ერთს წევრს, ლ. ასათიანს შეეფერხებინოს ბანკის საქმეები მის მიერ შედგენილის მოხსენებით, რომელშიაც ჩვენი საზოგადოება ცუდის მხრით არის დახასიათებული მთავრობის წინაშეო, ამის გამო ბანკის საზოგადო კრების უფლებანი შემცირდაო. ჩვენის საზოგადოების დახასიათება ასათიანის მოხსენებაში ისეთი არ არის, რომ ვისთვისმე საწყენი იყოს. ჩვენი საზოგადოება თავისის თვით-ცნობიერებით და განათლებით რომ პარიჟისა და პეტერბურგის საზოგადოების სწორი არ არის, ეს არავისთვის საიდუმლო არ უნდა იყოს; რაიცა შეეხება ბანკის საზოგადო კრების უფლებათა შემცირებას, ეს ასათიანის ბრალი სრულიადაც არ არის. თავად-აზნაურობამ და თვითონ ბანკის გამგეობამაც წარმომადგენლების სხვანაირი პროექტი შეადგინა და არა ისეთი მცირე უფლებიანი, როგორიც ეხლა გვაქვს, მაგრამ მთავრობამ ის ჩვენი პროექტი არ დაამტკიცა. გუშინ დამფასებლების კომისიის მოქმედებას შეეხნენ და სთქვეს, რომ მისი დაფასება საზარალო იყო ბანკისათვისაო. მიეცით ნება ამ კომისიის წევრთ, წარმოგვიდგინონ თავიანთი მოხსენება. ეს განცხადება თ. კ. ლორთქიფანიძისა თანაგრძნობით იყო უმრავლესობისაგან მიღებული.

**ერ. ს. ხუნდაძე.** გამგეობის თავმჯდომარის განცხადებას, რომ ვითომც მისის მმართვის დროს ბანკის შემოსავალს ყოველ წლობით უმატნია, სიფრთხილით უნდა მოვეკიდნეთ. რომ კარგად დავუკვირდეთ ბანკის ანგარიშებს, შევატყობთ, რომ, როცა ბანკს ჰქონია შემოსავალი 90 ათასი მან., ნაკლები ზარალი უნახავს, როცა 114 ათასი მან., მაშინ მეტი ზარალი. ვერ დავეთანხმები ბ-ნს ლოლუასაც, რომელიც გვირჩევს, დარჩენილ მამულებს მალე ნუ გავყიდითო, მოვიცადოთო. ბანკის გამგეობამ ცხადად დაგვიმტკიცა, რომ იგი სრულიად ვერ ახერხებს დარჩენილის მამულების პატრონობას და ამის გამო დიდი ზარალი მოსდის ბანკს. ამას ამტკიცებს თვითონ რევიზორიც (ჰკითხულობს ამ ადგილს რევიზორის ანგარიშიდგან), მე ვსთხოვ კრებას, ამოარჩიოს კომისია, რომელიც წარმოუდგენს კრებას ბანკის მდგომარეობის ნამდვილ სურათს.

**კ. ნ. ჩიკვაიძე.** კონვერსიის მოხდენის შესახებ მე იმ აზრისა ვარ, რომ ყოველ საქმეში თან-და-თანობა სჯობია, ე. ი. ჯერ მცირე შევიძინოთ, შემდეგ ცოტა მეტი; არ ივარგებს, რომ ერთჯერად ვითხოვოთ მრავალი უფლებანი და არც ერთი არ მივიღოთ. რაიცა შეეხება იმას, რომ ჩვენი მამულები ტფილისის ბანკში გადადის, კიდევ ვიმეორებ, მიზეზი ამისა არის რაოდენობა სესხისა, რომელსაც იძლევა ტფილისის ბანკი. ჩვენმა ბანკმა რომ სესხის რაოდენობა იმ ზომამდის ასწიოს, როგორც ტფილისაა, დიდად საზარალო იქნება ჩვენის ბანკისათვის. ამის გამო ქუთ. ბანკი ცილობას არ უწევს. საჭიროა ასპარეზი ბანკის მოქმედებისა გაფართოვდეს; ამ მხრივ ცოტა რამ შევიძინეთ. მართალია, რომ დარჩენილი მამულები დიდ ტვირთად აწევს ბანკს, მაგრამ სასტიკად ვერ მოვექეცით ამ მამულების გაყიდვას, როგორც ამას ითხოვს კანონი, ასე, რომ ზოგჯერ მხარი ავუქციეთ კანონის ამ მოთხოვნილებას, რადგან ეს სასარგებლო იყო ბანკის ინტერესებისათვის.

**თ. ნ. ე. თავდგირიძე.** სხვა-და-სხვა გაზეთებში და ისეც ლაპარაკობენ საზოგადოებაში, რომ ბანკის მმართველნი ძალიან ურიგოდ იქცევიან მამულების გაყიდვის დროს. ეს შავი ლაქა უნდა ჩამოირეცხოს გამგეობამ კრების წინაშე, რომ ამით თვითონ კრებაც დამშვიდებულის სინიდისით უყურებდეს თავისს ამორჩეულ კაცებს. ალბათ წაკითხული ექნება ბევრს „Новое обозрѣніе“-ში ცნობა, რომ ვიღაც ობლის ივანოვის მამული ბანკში მოსამსახურეთა წყალობით და მეცადინეობით შეუძენია ერთ მოხელეს, რომელსაც ამის გამო სამსახურის ადგილი დაუკარგავს, ხმებია, რომ ბანკში მოსამსახურე კაცები ეგრედ წოდებულ „ოტსტუპნოის“ იღებენო. ისიც ყველას ეცოდინება, რომ ჩვენს პატივცემულ მგოსანს აკაკი წერეთელს პენსია ჰქონდა დანიშნული, მაგრამ არაფერი არ მიუღია, რადგან საჭირო ყოფილა ვიღაცეების მოსყიდვა. ეს ამბავი თვითონ აკაკი წერეთლის „კრებულში“ არის აღწერილი. (კითხულობს ამ ადგილს.) იქნება ეს ხმები უსაფუძვლო იყოს, რაიცა დიდად სასურველია, მაგრამ ვაი თუ ეს მართალი იყოს. მე ვთხოვ გამგეობას ეს ლაქა ჩამოირეცხოს აქ, კრების წინაშე! თავი გაიმართლონ აგრეთვე დამფასებლებმა, რომელთაც ბ-ნი კ. ჩიკვაიძე ბრალსა სდებს, რომ რიგიანად ვერ აფასებდნენო.

**თ. ი. ნ. ნიჟარაძე (დამფასებელი).** ზედამხედველმა კომიტეტმა მოგვთხოვა პასუხი, რატომ გვიანდება ზოგჯერ დაფასებაო, ჩვენ ეს პასუხი მივართვით ზედ. კომიტეტს. დაგვიანება ზოგჯერ იმის გამო ხდება, რომ ბანკს ერთი მიწის მზომელი ჰყავს და, სანამ იგი ერთს ადგილს მიწის გაზომვას არ გაათავებს, დანარჩენი დამფასებლები უცდიან. რომ დამფასებელი კომისია სინიდისიანად აფასებს მამულებს, ეს ყოველ ექვს გარეშე უნდა იყოს. მე პირადად ჩემის ქონებით ვაგებ პასუხს, თუ რომელიმე მამული უსინიდისოდ იქნება დაფასებული. მაგრამ, მე დარწმუნებული ვარ, ვერც ერთი ამისთანა მამულს ვერავინ დაასახელებს. ბანკის ზარალი აიხსნება იმით, რომ რიგიანი მოვლა და პატრონობა არა აქვთ დარჩენილ მამულებს.

**თ. დ. გ. წულუკიძე.** (დამფასებელი) ჩვენ გვამტყუნებენ, რომ ბ-ნ თოფურიას მამული ნაკლებად დააფასეთ და ამიტომ გადაიტანა ტფილისის ბანკშიო. განა მარტო თოფურიას მამული გადვიდა ტფილისის ბანკში!? მამულები გადადის ტფილისის ბანკში იმიტომ, რომ იქ ნაკლებ სარგებელს ახდევინებენ, იმიტომ, რომ იქ გრძელ-ვადიანი სესხია, იმიტომ, რომ იქ კონვერსია მოახდინეს და მრავალი სხვა გარემოებაა, რომელნიც უადვილებენ მსესხებლებს ვალის გადახდას. განა ტფილისის ბანკის გზა-კი ია და ვარდით იყო მოფენილი, იმას-კი არ შეხვდა მრავალი დაბრკოლება და მთავრობის სხვა-და-სხვა განკარგულება, რომელნიც ასე თუ ისე ხელს უშლიდა ბანკის წინ-მსვლელობას? მაგრამ იქაურის ბანკის მმართველებმა თავისის მხნეობით, გამჭრიახობით და საქმის სიყვარულით ყველა დაბრკოლებანი დასძლიეს და გამარჯვებული გამოვიდნენ. აქაურს მმართველობას-კი მე ვამჩნევ სულ წინააღმდეგ თვისებას; სრულს უზრუნველობას და უდარდელობას იმ საქმისას, რომელიც მათთვის საზოგადოებას მიუნდვია. ამ უსაქმურობის მაგალითს მოგიყვანთ, საიდანაც ცხადად დაინახავთ, სადამდის მიდის ამ მოღვაწეების უზრუნველობა: 1891 წელს ბანკის საზოგადო კრებამ დაავალა გამგეობას ეშუამდგომლა სამინისტროს წინაშე კონვერსიის მოხდენაზე და, წარმოიდგინეთ, ამ გარდაწყვეტილების არსებობა ყველას მივიწყებია. ზედამხედველის კომიტეტის ერთმა წევრმა მდგომარე წლის 10 აპრილს დააწერა ამ ოქმზე: „წავიკითხე მხოლოდ 10 აპრილს 1899.“

**ა. თ. ნანეიშვილი.** ბანკის საქმეებს აწარმოებს ოთხი ორგანო: გამგეობა, დამფასებელი კომისია, ზედ. კომიტეტი და წარმომადგენელთა კრება. თვითეულს ამ ორგანოთაგანს აქვს თავისი განსაზღვრული სამოქმედო ასპარეზი და უფლებანი. ერთს ორგანოს სრული უფლება აქვს შენიშნოს მეორის ნაკლულევანებანი და ამხილოს ეს. მე არაოდეს არ მიღალატნია სიმართლისათვის და ახლაც ვიტყვი ამ სიმართლეს: ამტყუნებენ დამფასებელ კომისიას, ვითომც იგი აგვიანებდეს დაფასებას და უსიქმობაში ატარებდეს დროსა. ამ საგნის შესახებ არსებობს ჩემის ხელით დაწერი მოხსენება და ოქმი ზედამხედველის კომიტეტისა, რომელმაც ვერც ერთი, ჩვენ მიერ წარდგენილი საბუთი ვერ დაარღვია. აქ ითქვა გამგეობის თავმჯდომარის მიერ, რომ სარგებლის შემცირება და გრძელ-ვადიანი სესხი არ იზიდავს მსესხებლებსაო; აბა დააკვირდით ანგარიშს (კითხულობს სტატისტიკურ ცნობებს), სადაც ცხადად სჩანს, რომ როდესაც ჩვენმა ბანკმა გრძელ-ვადიანის სესხის გაცემის უფლება მოიპოვა, მაშინვე შემცირდა, თითქმის მოისპო მამულების გადასვლა ქუთაისის ბანკიდგან ტფილისისაში. ბანკის მოქმედების ასპარეზიც გაფართოვდა, ამასთან 19 წლიან სესხმა საკმაოდ იკლო (კითხულობს ცნობებს ანგარიშიდგან).

**თ. ნ. ერისთავი.** (გამგ. წევრი). მე არ მითქვამს, რომ არ ყოფილა საზოგადო კრების გარდაწყვეტილება კონვერსიის მოხდენის შესახებ. მე ვთქვი მხოლოდ ის, რომ არა ყოფილა გარდაწყვეტილება უვადო ფურცლების გამოცემისა.

**თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე და თ. დ. გ. წულუკიძე** ამბობენ, რომ კონვერსიის მოხდენა შეიძლება უვადო ფურცლების გამოუცემლადაც. გამგეობას უნდა მოეყვანა სისრულეში 1891 წლის საზოგადო კრების დადგენილება კონვერსიის შესახებ. მრავალი წარმომადგენელი ითხოვს წაიკითხონ ეს დადგენილება. მდივანი კრებისა დ. ბ. მდივანი კითხულობს, 1891 წლის 22 მაისის ოქმს, სადაც სწერია: „შესახებ კონვერსიისა, რომლის მოხდენაზე ლაპარაკი აღძრა თ. კ. მ. ლორთქიფანიძემ, კრებამ გარდასწყვიტა: ვიშუამდგომლოთ ბ-ნ ფინანსთა მინისტრის წინაშე, რათა ნება მოგვცეს მოვახდინოთ კონვერსია 6% სესხისა 5%-ად იმ წესით და საფუძვლით, რომელნიც დამტკიცებულია ბ-ნ ფინანსთა მინისტრის მიერ 24 აპრილს 1891 წელს; ამას დაემატოს ის წესები, რომელთაც საჭიროდ დაინახავს ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა“.

**თ. ნ. ერისთავი (გამგეობის წევრი).** კონვერსიის მოსახდენად საჭიროა უვადო ფურცლების გამოცემა, რაიცა ითხოვს წესდების შეცვლას.

ამას კ. ნ. ჩიკვაიძემ დაუმატა, რომ წესდების შეცვლა მოითხოვს, რომ კრებას დასწრებოდა წევრთა კანონიერი რიცხვი, რაიცა არ იყო 1891 წლის კრებაზედ. ამიტომაც ამ გარდაწყვეტილებას არავითარი ძალა არა აქვს.

**თ. დ. გ. წულუკიძე (დამფასებელი).** რას გვიბრძანებ, ბ-ნო ლ. თ. ლოლუა, ის კრება (1891 წლისა) მართლა უკანონოა, თუ კანონიერი? თქვენ ხომ მაშინ ამ კრების თავმჯდომარედ ბრძანდებოდით?

ლოლუამ აიღო იმ წლის ოქმები, გადაფურცლა და სთქვა: „ოქმებში არ არის აღნიშნული კრების წევრთა რიცხვი, ამიტომ მე არ შემიძლიან ვსთქვა, კანონიერი იყო, თუ არა! მე მოვედი ტფილისიდგან ქუთაისს 1891 წლის 22 მაისის საღამოს. მთხოვეს თავმჯდომარეობა საზოგადო კრებაზე თ. ს. გ. წერეთლის მაგიერ, რომელსაც თავმჯდომარეობისათვის თავი დაენებებინა, ასე რომ მე არ ვიცი, რა მოხდა მაშინ.

**თ. დ. გ. წულუკიძე.** ბატონო, როგორ არ იცით არაფერი, ოქმის შავი თქვენის ხელით არის დაწერილი?

**დ. ა. ლორთქიფანიძე.** როგორც სჩანს, თქვენ კრებას არ დასწრებიხართ, რა ხდებოდა იმ კრებაზე არ იცოდით და, რაც სხვამ გითხრათ, ის დასწერეთ და შემდეგ ხელი მოაწერეთ? ხომ ასეა?

ლ. თ. ლოლუა. დიახ, ასე იყო.

თ. გ. ზ. დორთქიფანიძე. არ გახსოვთ, ლუ რსაბ თეიმურაზის ძევ, რომ მე გთხოვეთ თქვენ, ოქმი კონვერსიის შესახებ შეკედგინათ დაწვრილებით, საფუძვლიანად, რომ სამინისტროში არავითარი დაბრკოლება არ დახვედროდა კონვერსიის მოხდენას?

ლ. თ. ლოლუა. მახსოვს ეგ თხოვნაც.

თ. გ. მაქლაძე. ეს რა გვესმის; ეს რა ამბები ყოფილა?! საით მიგყავთ საზოგადოება? მართალს ამბობთ, თუ გვატყუებთ, ჩვენ ვერაფერი ვერ გავიგეთ! ეს სირცხვილი არ არის ბანკის მმართველობისათვის? პატრონობა ასეთი უნდა ჩვენს საზოგადოებას?

თ. დ. გ. წულუკიძე. (დამფასებელი). მე მაკვირვებს ბ-ნ ლოლუას საქციელი, რომ იგი 1891 წლის საზოგადო კრების გადაწყვეტილებას ბანკის სასარგებლოდ არა ხსნის და არ მარტავს.

ი. ა. დუმბაძე. მე ვითხოვ, მოვსპოთ ბაასი 1891 წლის საზოგადო კრების ოქმზე და კითხვა კონვერსიის მოხდენის შესახებ ჩავთვალოთ გამორკვეულად. და, თუ მიუხედავად ამისა, მაინც ამ საგანზედ განაგრძობენ ლაპარაკს, მე იძულებული ვიქნები, სიყალბის შესახებ ავძრა ლაპარაკი. ამ განცხადებამ საშინელი ხმაურობა ასტეხა გამგეობის მომხრეთა შორის და ითხოვდენ უეჭველად ოქმში შეეტანათ ბ-ნ დუმბაძის განცხადება.

კრება გათავდა 4 საათზედ და გადიდვა შემდეგის დღისათვის.

# რუსეთი

— საერო განათლების მინისტრმა განმარტა, რომ სასწავლებლის უფროსთ ოლქის უფროსთა ნებართვით შეუძლიანთ ნება მისცენ საშუალო სასწავლებლის იმ მოსწავლეთ, რომელნიც ავათმყოფობის გამო ველარ დადიან სასწავლებელში, ირიცხებოდნენ ამ სასწავლებლის მოსწავლეებად, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ კლასიდგან კლასში გადასვლის დროს გამოცდილ იქმნებიან.

— „ს.—პეტ. უწყ“-ის სიტყვით, საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ იმ ებრაელთ, რომელთაც სწავლა დაუმთავრებიათ უმაღლეს სასწავლებელში, შეუძლიანთ ისარგებლონ სახელმწიფო სამსახურის უფლებებით მხოლოდ ნამდვილს სახელმწიფო სამსახურში შესვლის შემდეგ.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთების სიტყვით, დრეიფუსის ვექილს ბ-ნ დემანჟს უთქვამს, რომ, ჩემის აზრით, დრეიფუსის საქმეს აგვისტოს პირველ რიცხვებზედ ადრე არ განიხილავს სამხედრო სასამართლოვო. რადგან პალატის მიერ შეწყნარებულ იქმნა კანონი, რომელიც ვექილს უფლებას აძლევს—სამხედრო სასამართლოში თავისის მარწმუნებლის საქმის წინასწარ გამოძიებაში მონაწილეობა მიიღოს, რა რომ დრეიფუსი ბრესტში მოვა, დემანჟს დაუბრკოლებლად შეეძლება მისი ხშირ-ხშირად ნახვა. ამ კანონის გამოქვეყნების შემდეგ, აგრეთვე პატი-დე-კლამისა და ოტეილის უწესოებისათვის დატუსაღებულ აფიცრების ვექილებსაც შეეძლებათ თავიანთ კლიენტების ნახვა.

— მონსო-ლე მონში ათი ათასამდე გაფიცულ და მუშაობისაგან ხელ-აღებულ მაღაროს მუშებს კრებაზედ განაჩენი დაუდგენიათ, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებენ პრეზიდენტს ლუბეს, როგორც მებრძოლს რესპუბლიკისას რეაქციის წინააღმდეგ, და საშინლად ჰკიცხვენ ოტეილის უწესოების მონაწილეთ.

**შეერთებული შტატები.** მინისტრთა საბჭოს დაუდგენია, უგანვე დაიბაროს ფილიპეს არხიპელაგზე გაგზავნილი სამოქალაქო უწყების კომისია, რადგან შეუძლებლად დაუნახავს ფილიპინელებთან მშვიდობიანად მორიგება. გენერალს ოტისს ბრძანება მისვლია მოურიგდეს ფილიპინელებს მხოლოდ მაშინ, როცა მეამბოხენი სრულიად დამორჩილდებიან. მაგრამ ამ უკანასკნელთ გასულ დღეებში შესამჩნევად დაუმარცხებიათ ამერიკის ჯარი ერთს ადგილას და დიდძალი სურსათი და სამხედრო იარაღები წაურთმევიათ. მეორეს მხრით ამერიკელებს შიში მოუდით პორტორიკოსთან, თუმცა კი ეს კუნძული პირველად წინააღმდეგი არ იყო შეერთებულ შტატებთან შეერთებისა. ამ დღეებში პორტორიკოდგან მოციქულები მისულან ვაშინგტონში, რომელთაც განუცხადებიათ, რომ პორტორიკოდგან ესპანელების განდევნის შემდეგ ჩვენი მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესდა, არამედ უფრო წახდაო; ამერიკის მოხელეები ისე ეპყრობიან ადგილობრივ მკვიდრთ, როგორც ყოველივე უფლება მოკლებულ ყმებს ანუ ბარბაროსებს და აუარებელ გადასახადის შეწერით მიწასთან ასწორებენო; ამის გამო თუ დაუყოვნებლივ არ მიენიჭა კუნძულს სრული თავისუფლება შინაურ საქმეების მართვა გამგეობისა და ადგილობრივ აღებ მიცემობის შესაფერისად სადამოუნო ბაჟის შემოღებისა, ამერიკის მთავრობა ყოველ მუდამ დღე ამბოხებას უნდა მოელოდეს პორტორიკოზეო.

# დამაკვირდი

ყოველი შესამჩნევი მწერალი სარკეა თანამედროვე ერის გულისა.

ბ. დ—შვილი

* * *

კინ მტერსა დიდხანს აცროებს,
არის თავისა მტერია.

როსტომ გმირი

* * *

აზრი შენი, დაიბადება-რა გონებასა შინა შენსა, შვიდჯერ აბრუნე, შვიდჯერ უქციე, შვიდჯერ გასწკრიტე, შვიდჯერ მოჩარხე და ისრე აღმოუშვი ბაგეთაგან შენთა.

ლასურიძე

## ცურ-ალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

წარსულ მაისს ავსტრალიიდგან პეტერბურგში მისულა ინგლისელი ატლეტი სამსონი. სამსონი შესანიშნავის ღონის პატრონი ყოფილა თურმე. ერთი გაზეთი სწერს, რომ სამსონმა აიღო ვერცხლის სამშაურიანი, ხელში დაიჭირა და სულ უწვალებლივ გადასტეხა, ასევე უყო აბაზიანსა და ხუთშაურიანსაო. ვერცხლის მანეთიანი თუმცა ვერ გადატეხა, მაგრამ მოკაკვით-კი ძალიან მოკაკვა. შემდეგ აიღო თითის სისხო მაგარი ჯაჭვი და ხელით გაწყვიტა. სამსონმა კარგა ხანია დასჯაბნა შესანიშნავი ატლეტები სანდოვი, მეიერი, ჯონსი და სხვანი. ასე რომ ამ ჟამად ის ულონიერეს კაცად ითვლება დედა-მიწის ზურგზედ. ერთხელ სამსონს 100 ფუთიანი რკინა აუწევია და რამდენსამე წუთს ისე აწეული სჭერია ხელში. ამისათვის ჯილდოთ მიუღია ოქროს ქამარი, რომელიც წონით $7^1/_2$ გირვანქა ყოფილა.

* * *

მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ ამ ორის წლის წინად ბოლგარიაში მეფის ერთმა ადიუტანტმა და პოლიციის მოხელემ როგორ აწვალეს და ბოლოს მოჰკლეს კიდეც ერთი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ანნა სიმონი. როგორც გაზეთები იუწყებიან, ბოლგარიის სატახტო ქალაქშივე ერთი ასეთი ისტორია ეხლაც მომხდარა. საყურადღებო კიდევ იმითია, რომ ამ ისტორიაში ბოლგარიის ერთი მინისტრიც არის ჩარეული. აი საქმე როგორა ყოფილა: ხსენებულ მინისტრს ძალიან მოსწონებია ერთი მომღერალი, ახალგაზდა და ლამაზი უნგრელი ქალი, გვარად ელისაბედ ვირაგი. მინისტრის თხოვნით ვირაგს სიმღერისათვის თავი გაუნებებია და მინისტრის სასახლეში გადასახლებულა. მაგრამ არ გასულა ბევრი ხანი, რომ ლამაზს ქალს თავ-ბედის წყევლა დაუწყვია: მინისტრი ძალიან ეჭვიანი კაცი გამოდგა თურმე, საწყალ ქალს სახლიდგან გამოსვლის ნებას არ აძლევდა. არც იმასთან უშვებდა ვისმეს. ერთად-ერთი ნუგეში ქალისა მინისტრის მდივანი-ღა იყო, რომელსაც ხშირად ჰხვდებოდა ხოლმე. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ. მინისტრმა შეამჩია ეს და ერთ მშვენიერ დღეს ქალი ისეთ ადგილას დამალა, რომ მდივანმა ველარც გზა და ველარც კვალი გაიგო იმისი. გავიდა კარგა ხანი, მდივანი მაინც იმედს არა ჰკარგავდა და თავის საყვარელს გულ-მოდგინედ დაეძებდა. ერთ დღეს ქუჩაში ვიღაც ქალი შეხვდა, გამხდარი, დასუსტებული, ტანზედ კონკების მეტი ქალს არაფერი ეცვა. მდივანმა, გაკვირვებულმა შეჰხედა და იცნო ელისაბედ ვირაგი. რასაკვირველია, მაშინვე თავისთან წაიყვანა, მშიერ მწყურვალ ქალს ჯერ საჭმელი აჭამა, შემდეგ ახალი ტანისამოსიც უშოვნა. ქალმა უამბო მდივანს ყოველივე თავგადასავალი. მინისტრს ვირაგი ბნელს, ნოტიო სარდაფში დაუმწყვდევია, რამდენიმე თვე იქ ნახევრად მშიერ-მწყურვალი ჰყოლია, შემდეგ უგროშოდ და უტანისამოსოდ ქუჩაში გაუგდია.

## გასართობი

### კალმის ხუმრობანი

I

დიდ პატრიოტად თავი მოჰქონდა,
სამშობლოს მსხვერპლად სწირავდა თავსა
და ქვა-გუნდასა თავზედ აყრიდა,
ვინც მის მამულზე იტყოდა ავსა...

ჯერ გიმნაზიას არ გასცდენოდა,
უკვე „მოღვაწედ“ იწოდებოდა,
ხალხი აქებდა... და მომავალში
მისგან ბევრს კარგსა ელოდებოდა...

ხალხისვე ფულით განაგრძო სწავლა,
დაბრძენებული შინ მოგვიბრუნდა,
ერთი „მოღვაწეც“ შემოგვეშველა,—
აბა სამშობლოს სხვა რაღა უნდა?!.

მართლაც ღვაწლსა გვდებს... ოფლს ჰღვრის, ჰშუშაობს,
შეუსვენებლივ... ხვედრი აქვს მწვავე!..
ღამე არ სძინავს: სულ იმას ჰფიქრობს,
რომ... უკეთესად გაგვაძროს ტყავი...

II

ბეჩავი ხალხი ებრალებოდა,
მათი წუხილი გულს უღუტქავდა,
სურდა რითიმე დახმარებოდა
რა დავრდომილსა დაინახავდა.

წავიდა შორსა, რომ შეისწავლოს
მან სამკურნალო მეცნიერება,
და გაჭირვებულს ავადმყოფს მისცეს
მკურნალობითა ნუგეში, შვება.

მართლაც მობრუნდა „დიპლომიანი“,
შეუსწავლია „რეცეპტის“ წერა,
მისი წამალი ყველასა ჰკურნავს,
თუნდ სულ სხვა ჰქონდეს თვით „ბედის წერა“.

აგერ მის კარებს მისჩერებია
სენით პყრობილი საბრალო ქალი
და მკურნალისა სიახლოვითა
იმედის ცრემლით უბრწყინავს თვალი.

ექიმმა მოჰკრა ავადმყოფს თვალი
მის ვედრებასაც ათხოვა ყური!..
და შეებრალა... გასძახა მახურს,
რომ... მაწანწალას წაჰკრან პანღური...

III

პატრობითვე ამხანაგთ შორის
მჭევრ-მეტყველობაში არ ჰყავდა ცალი,
წამსა და უწუმ იმეორებდა
„მოვალეობა“ და „სამართალი“.

იგიც წავიდა, მიჰმართა ტაძარს,
სად ასწავლიან მართლ-მსაჯულებას,
რათა უმართლოდ ჩაგრულთა ხსნისთვის
მედგრად შეება უმართლოებას.

„ადვოკატობის“ სრულის ცოდნითა
ის წარმოადგენს კარგს სანახავსა,
უნდა შეჰხედოთ ვით მჭევრ-მეტყველობს,
როდესაც თეთრად გვიჩვენებს შავსა...

პსიხოლოგიის პილპილის მოყრით
უფლებებს იცავს აღტაცებული...
და სამართალსაც, რაღა თქმა უნდა,
იქით ჰხრის, სადაც... ბევრია ფული...

—

გულს ნუ გაიტეხ, ჩემო მკითხველო,
ამგვარი ხალხი თუ მრავალია!
ნუ გავამტყუნებთ, რადგან ყველა ეს
„არსებობისთვის ბრძოლის“ ბრალია...

ბ. დავითაშვილი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ივნისი

**პარიჟი.** გაზეთები ამბობენ, პუანკარეს გაუძნელდება ისეთის სამინისტროს შედგენა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა დასის წარმომადგენელნიო. ზოგიერთები კი ჰფიქრობენ, სამინისტრო დღესვე შესდგებაო.

როგორც „Echo de Paris“-ი იუწყება, კრანცმა სწორედ ეს სიტყვები უთხრა ზოგიერთებს: „ჩემი რწმენა დრეიფუსისა და პიკარის შესახებ იგივეა: მე წინანდებურად დარწმუნებული ვარ, რომ ისინი დამნაშავენი არიანო“.

**პარიჟი.** დღეს დილით პუანკარემ ჰნახა ბრისონი, მელინი, რიბო და სარიენი, რის შემდეგ გაემგზავრა ელისეის სასახლეში. დღესვე პუანკარესას მოხდება კრება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას განაწილებული პორტფელები.

**პარიჟი,** „ჰავასის სააგენტო“ უარს ჰყოფს ზოგიერთის გაზეთების-მიერ გადმოცემულ ამბავს, ვითომ კაზიმირ პერიეს კრანცისათვის ეთქვას, დრეიფუსის საქმის გადასინჯვა სამწუხარო ამბავიაო.

**სოფია.** გაკრულია ოპოზიციის დეპუტატების მიერ ხელ-მოწერილი პროკლამაცია „ბოლგარიის ხალხის მიმართ“, რომელშიაც ურჩევენ ხალხს მიტინგები მოახდინონ მთავრობის პოლიტიკისა და სახელმწიფოს დავალიანების წინააღმდეგ.

**შტეტინი.** ციულგორთან, შტეტინის მახლობლად დაიღუპა გემი „Bluecher“-ი, რომელიც მეორე გემს დაეჯახა. როგორც ამბობენ, 30 კაცამდე დაღუპულა.

**სტოკჰოლმი** დღეს, მეფის სასახლეში მეფემ მიიღო გიდროგრაფთა და ბიოლოგთა კონგრესის წევრები. მეფემ ბრძანა, გადასცენ კონგრესს ამას წინად ისლანდიაში ნაპოვნი დეპეშა ანდრესი. ნანსენმა განაცხადა, რომ თუ ანდრე დედამიწაზედ დაეშო და თავისი ნავი, იარაღი და სურსათი თანა აქვს, მაშინ უეჭველად გრენლანდიისაკენ წავიდოდა და თუ მოაღწია ამ ადგილს, იქ ნადირობით თავს გამოიკვებავს. თუ ასეა, ანდრეს იპოვნის ნიტგორსტის, ან ამდრუპის ექსპედიცია, მაგრამ ამ ამბის შესახებ ცნობას სექტემბრამდე ვერ მივიღებთო.

5 ივნისი

**პეტერბურგი.** ჰერცოგინია ზინაიდა დიმიტრის ასული ლეიხტენბურგისა გარდაიცვალა.

**მადრიდი.** სენატი. ალმენასის საპასუხოდ მარშალმა ბლანკომ სთქვა, რომ გენერლებს ბრძოლის ნება არ მისცესო. ბლანკომ გაჰკიცხა ლიბერალური მთავრობა, რომელიც უფრო მშვიდობის ჩამოგდებაზედ ჰფიქრობდა, ვიდრე ომზედაო. მე უნდა გავძღოლოდი 130,000 კაცს და ომი გამეგრძო. ეს არა ვქენი იმიტომ, რომ ყოველთვის დისციპლინას ვემორჩილებოდი. ეხლა ვხედავ, რომ შეცდომა მომივიდა და მთელ სიცოცხლეში სანანურად დამრჩება ეს შეცდომაო.

**პეტერბურგი.** დედოფალმა იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა საკუთარის ფულიდგან 300,000 მანეთი შესწირა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სახელობის ყრუ-მუნჯთა სამზრუნველოს კონების გასაძლიერებლად.

**პარიჟი.** თათბირმა პუანკარესთან 4 საათსა და 30 წუთამდე გასტანა, შემდეგ შესწყვიტეს, რათა შეძლება მიეცათ ბრისონსა, სარიენსა, და მუჟოსთვის მოელაპარაკნათ პოლიტიკურ მეგობრებთან. თათბირი განაახლეს 6 საათზედ და გასტანა სულ რამდენსამე წუთს: შესწყვიტეს იგი რადიკალებმა რომელთაც უარ-ჰყვეს პუანკარეს წინადადებანი. ამ უკანასკნელმა ელისეის სასახლისაკენ გასწია და გამოუცხადა ლუბეს, რომ კაბინეტს ვერ შევადგენო. ლუბე ხვალ ფალიერსა და დეშანელს მოუწოდებს.

**პარიჟი.** ხვალ, ნაშუადღევს, ლუბეს თათბირი ექნება საბჭოს ზოგიერთ პრეზიდენტად ნამყოფთან, სხვათა შორის—ბრისონთან, მელინთან, რიბოსთან, შეიძლება ლუბემ დელკასსეს მისცეს წინადადება კაბინეტის შედგენისა. ვალდეკ-რუსოს სახელი თან და თან უფრო ხშირად ისმის.

**პარიჟი.** ამბობენ, რომ თუ დელკასსემ ხვალ უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზედ, მაშინ ვალდეკ-რუსო იკისრებს ამ საქმეს და ეცდება სისრულეში მოიყვანოსო.

**ბრესტი.** დრეიფუსის საქმის გამო ლიცეის ორ მასწავლებელს და ორ აფიცერს ლაპარაკი მოუვიდათ, რომელსაც დუელი მოჰყვა. დაჭრილ იქმნენ ერთი მასწავლებელი და ერთი აფიცერი.

**პარიჟი.** ოტეილში მოხდარ არეულობის გამო საპყრობილეში დაპატიმრება სასამართლომ მიუსაჯა: ლე ონისა და დეჟერონნეს—3 თვით, ლუი ბარრიოტს—2 თვით, ფელიქს ბარრიოტს—1 თვით, დიონს და დობინიეს—2 კვირით, ფრომესსანს—200 ფრანკის ჯარიმის გარდახდა; დე-ნევილლი გამართლებულ იქმნა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 5-го Іюня 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე